2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციათა

ეცევის (ეთიკის) კოდექსი

ქვემორე ხელისმომწერი ორგანიზაციები,

აცნობიერებენ რა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მნიშვნელობას,

იზიარებენ რა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებისა და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციათა წარმომადგენლების პროფესიული და ეთიკური ნორმების დაცვის ვალდებულებას,

თანხმდებიან შემდეგზე:

- 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის იხელმძღვანელებენ საქართველოს კანონმდებლობით, არჩევნების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებით და წინამდებარე ქცევის (ეთიკის) კოდექსით. ხელს შეუწყობენ 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარებას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გზით;
- ხელს შეუწყობენ ძირითადი საარჩევნო პრინციპების განხორციელებას, რათა 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები ჩატარდეს საყოველთაო, თანასწორი, ფარული კენჭისყრის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას;
- პატივს სცემენ კანონის უზენაესობას. ხელს შეუწყობენ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის განხორციელებას. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენებენ უფლების აღდგენის და დაცვის მხოლოდ სამართლებრივ საშუალებებს;
- საარჩევნო პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით იქნებიან მიუკერძოებელნი და თავიანთ მოვალეობებს შეასრულებენ გამჭვირვალედ და ობიექტურად.

I. ქცევის (ეთიკის) კოდექსის სახელმძღვანელო პრინციპები

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია, როგორც არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანო და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები, როგორც საარჩევნო პროცესში ჩართული მიუკერძოებელი და ნეიტრალური ინსტიტუტები, გამოხატავენ ურყევ ნებას, იხელმძღვანელონ პოლიტიკური ინტერესებისგან გამიჯვნის და საჯარო ინტერესების უზენაესობის პრინციპით, კეთილსინდისიერად აღასრულონ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება-მოვალეობები, იმოქმედონ პროფესიული ცოდნის, გამოცდილების შესაბამისად და საკუთარი ქცევით უზრუნველყონ მაღალი ეთიკური პრინციპების დემონსტრირება და დაცვა.

ა) პოლიტიკური ნეიტრალობა და მიუკერძოებლობა

საარჩევნო ადმინისტრაცია იღებს ვალდებულებას:

- იმოქმედოს მხოლოდ კანონის ფარგლებში, არ მოექცეს პოლიტიკური გავლენის ქვეშ;
- თავი აარიდოს ისეთ მოქმედებას, რომელიც შესაძლოა აღქმული იყოს რომელიმე პარტიისა თუ საარჩევნო სუბიექტის მხარდამჭერ ან საწინააღმდეგო ქმედებად;
- საარჩევნო მოხელემ არ მიიღოს საჩუქარი ან რაიმე სარგებელი პოლიტიკური პარტიის ან გაცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე ფიზიკური/იურიდიული პირისგან;
- საარჩევნო პერიოდში თავი აარიდოს ადგილობრივი თუ სახელმწიფო ხელისუფლების თანამდებობის პირებთან პირადი ხასიათის შეხვედრებსა და ვიზიტებს.

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები იღებენ ვალდებულებას:

- არ განახორციელონ ისეთი ქმედება, რომელიც შესაძლოა აღქმული იყოს რომელიმე პარტიისა თუ საარჩევნო სუბიექტის მხარდამჭერ ან საწინააღმდეგო ქმედებად, მათ შორის, არ ატარონ საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი;
- არ მიიღონ საჩუქარი ან რაიმე სარგებელი პოლიტიკური პარტიის ან გაცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე ფიზიკური და იურიდიული პირისგან. ობიექტურად და მიუკერძოებლად დააკვირდნენ საარჩევნო პროცესს, მათ შორის, კენჭისყრის დღეს;
- საარჩევნო პროცესზე დაკვირვება განახორციელონ საქართველოს კანონმდებლობასთან, საარჩევნო პროცესის დაკვირვების საერთაშორისოდ აღიარებულ ვალდებულებებსა და სტანდარტებთან შესაბამისობაში;
- საარჩევნო პროცესის შეფასებებისას მხედველობაში მიიღონ ყველა არსებითი გარემოება, გამოიჩინონ სიფრთხილე და თავი შეიკავონ საარჩევნო პროცესის შესახებ უსაფუძვლო და ნაჩქარევი დასკვნების გაკეთებისაგან;
- საარჩევნო პერიოდში თავი აარიდონ ადგილობრივი თუ სახელმწიფო ხელისუფლების თანამდებობის პირებთან პირადი ხასიათის შეხვედრებსა და ვიზიტებს.

ბ) გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

საარჩევნო ადმინისტრაცია იღებს ვალდებულებას:

- უზრუნველყოს ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესში ჩართული სხვა მხარეებისთვის, მათ შორის, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციებისთვის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საქმიანობის ღიაობა;
- უზრუნველყოს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებისა (კენჭისყრის კაბინის გარდა) და საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლების მქონე პირებისათვის, საარჩევნო პროცესისა და საარჩევნო კომისიის სხდომის მუშაობისთვის ხელის შეშლის გარეშე, ფოტოვიდეოგადაღების წარმოების შესაძლებლობა;

- იყოს ანგარიშვალდებული შესაბამისი ინსტიტუციებისა და ამომრჩევლების წინაშე და რეგულარულად წარადგინოს ანგარიში გაწეული საქმიანობების შესახებ;
- საქმიანობისას იხელმძღვანელოს გადამოწმებული და ზუსტი ინფორმაციით.

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები იღებენ ვალდებულებას:

- უზრუნველყონ მათი დაფინანსების წყაროს, რაოდენობის და ფინანსური სახსრების აღრიცხვა-ანგარიშგების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობა;
- დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყონ ფოტოვიდეოგადაღება, საარჩევნო პროცესისთვის და საარჩევნო კომისიის სხდომის მუშაობისთვის ხელის შეშლის გარეშე;
- მუშაობის პროცესში გაითვალისწინონ, რომ აკრძალულია ისეთი ინფორმაციის ან მონაცემების ფოტოვიდეოგადაღება ან სხვაგვარი დამუშავება, რომელიც/ რომლებიც საარჩევნო კოდექსის თანახმად არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ფოტოვიდეოგადაღება ან დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;
- უზრუნველყონ საზოგადოებისთვის არჩევნების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდება, არჩევნების პროცესის შეფასება საერთაშორისო ვალდებულებებსა და სტანდარტებთან, ასევე საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებაში. დასკვნებსა და ანგარიშებში ასახონ ობიექტური და შეძლებისდაგვარად დადასტურებული ინფორმაცია.

გ) თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემო

საარჩევნო ადმინისტრაცია იღებს ვალდებულებას:

- ხელი შეუწყოს ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური და სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნას;
- ხელი შეუწყოს ამომრჩევლების, დამკვირვებლების და საარჩევნო პროცესში ჩართული სხვა მხარეების უფლებების თავისუფალ განხორციელებას საარჩევნო პერიოდში, მათ შორის, კენჭისყრის დღეს;
- ხელი შეუწყოს ამომრჩევლებისა და არჩევნებში ჩართული სხვა მხარეების მიმართ რასობრივი, რელიგიური, პოლიტიკური მრწამსის, გენდერული ან/და სხვა ნიშნით დისკრიმინაციაზე მიმართული სიძულვილის ენისაგან თავისუფალი საარჩევნო გარემოს განვითარებას;
- ხელი შეუწყოს ძალადობისა და ზეწოლისგან თავისუფალი, უსაფრთხო, მშვიდობიანი საარჩევნო გარემოს განვითარებას, ამომრჩევლის მიერ ნების თავისუფალი გამოვლენისა და არჩევნებში ჩართული სხვა მხარეების მიერ საქმიანობის სრულყოფილად განხორციელების მიზნით;

- განახორციელოს საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკით განსაზღვრული ამოცანების შესრულება და კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლოს არჩევნებში ჩართულ მხარეებთან;
- საარჩევნო პროცესის დამაზიანებელი მცდარი ინფორმაციის გავრცელების პრევენციისა და რეაგირების მიზნით, განავითაროს სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის მექანიზმები.

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები იღებენ ვალდებულებას:

- ხელი არ შეუშალონ ამომრჩევლის საარჩევნო უფლების განხორციელებას და ნების თავისუფალ გამოვლენას; პატივი სცენ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მსგავსი ფაქტების აღკვეთასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს;
- ხელი შეუწყონ ამომრჩევლებისა და არჩევნებში ჩართული სხვა მხარეების მიმართ რასობრივი, რელიგიური, პოლიტიკური მრწამსის, გენდერული ან/და სხვა ნიშნით დისკრიმინაციაზე მიმართული სიძულვილის ენისაგან თავისუფალი საარჩევნო გარემოს განვითარებას;
- ხელი შეუწყონ ძალადობისა და ზეწოლისგან თავისუფალი, უსაფრთხო, მშვიდობიანი საარჩევნო გარემოს განვითარებას, ამომრჩევლის მიერ ნების თავისუფალი გამოვლენისა და არჩევნებში ჩართული სხვა მხარეების მიერ, მათ შორის, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების მიერ, საქმიანობის სრულყოფილად განხორციელების მიზნით;
- საკუთარი წვლილი შეიტანონ საარჩევნო პროცესში გენდერული თანასწორობის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაში;
- არ გაავრცელონ დეზინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა დააზიანოს საარჩევნო პროცესისადმი ნდობა. საარჩევნო პროცესის დამაზიანებელი მცდარი ინფორმაციის გავრცელებაზე რეაგირების მიზნით ითანამშრომლონ საარჩევნო ადმინისტრაციასთან;
- ითანამშრომლონ საარჩევნო კომისიებთან იმ შესაძლო ხარვეზების გამოსასწორებლად და პოზიტიური ასპექტების განსავითარებლად, რომელიც ხელს შეუწყობს თავისუფალ და სამართლიან საარჩევნო გარემოს.

დ) პროაქტიული თანამშრომლობა და რეაგირება

საარჩევნო ადმინისტრაცია იღებს ვალდებულებას:

- ითანამშრომლოს დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან საფუძვლიან და კანონშესაბამის შენიშვნებზე დროული რეაგირებისა და საკითხის მოგვარების მიზნით;

- ითანამშრომლოს არჩევნებში ჩართულ მხარეებთან საარჩევნო პროცესზე მიკერძოებული დაკვირვების ზეგავლენის შემცირების მიზნით;
- დროულად აღკვეთოს, შესაბამისი კანონისმიერი რეაგირების გამოყენებით, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებისა და საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლების მქონე პირების მხრიდან აკრძალული ინფორმაციის ან მონაცემების ფოტოვიდეოგადაღების ან სხვაგვარი დამუშავების ისეთი მცდელობა, რომელიც/რომლებიც საარჩევნო კოდექსის თანახმად არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ფოტო-ვიდეოგადაღება ან დამუშავება გათვალისწინებულია კანონით.

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები იღებენ ვალდებულებას:

- ხელი არ შეუშალონ საარჩევნო პროცესის ეფექტიანად წარმართვას და არ ჩაერიონ საარჩევნო კომისიების ფუნქციებსა და საქმიანობაში;
- საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებებზე და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებზე რეაგირება მოახდინონ სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების გზით;
- აცნობონ საარჩევნო კომისიას მათ მიერ გამოვლენილი დარღვევების ან პრობლემების შესახებ. მათი განცხადებები უნდა იყოს გამყარებული შეძლებისდაგვარად გადამოწმებული ფაქტობრივი გარემოებებით;
- ითანამშრომლონ საარჩევნო ადმინისტრაციასთან საარჩევნო პროცესზე მიკერძოებული დაკვირვების ზეგავლენის შემცირების მიმართულებით.

ე) პანდემიის პირობებში ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა

საარჩევნო ადმინისტრაცია იღებს ვალდებულებას:

- უზრუნველყოს ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით საარჩევნო კომისიების შენობებში, მათ შორის კენჭისყრის ჩატარების ადგილებში, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
- უზრუნველყოს ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესში ჩართული სხვა მხარეების ინფორმირება დადგენილი სანიტარიულ-ჰიგიენური წესისა და რეკომენდაციების შესახებ;
- განავითაროს სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის მექანიზმები, ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული მცდარი და საარჩევნო პროცესის დამაზიანებელი ინფორმაციის გავრცელების პრევენციისა და რეაგირების მიზნით;
- ითანამშრომლოს სამოქალაქო სექტორთან იმ შესაძლო ხარვეზების გამოსასწორებლად და პოზიტიური ასპექტების განსავითარებლად, რომელიც ხელს შეუწყობს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფას.

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები იღებენ ვალდებულებას:

- უზრუნველყონ ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით საარჩევნო კომისიების შენობებში, მათ შორის კენჭისყრის ჩატარების ადგილებში, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დადგენილი შესაბამისი წესების გათვალისწინება;
- უზრუნველყონ მათ მიერ დანიშნული დამკვირვებლების ინფორმირება დადგენილი სანიტარიულ-ჰიგიენური წესისა და რეკომენდაციების შესახებ;
- ხელი შეუწყონ ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესში ჩართული სხვა მხარეების ინფორმირებას დადგენილი სანიტარიულ-ჰიგიენური წესისა და რეკომენდაციების შესახებ;
- ითანამშრომლონ საარჩევნო ადმინისტრაციასთან ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული მცდარი და საარჩევნო პროცესის დამაზიანებელი ინფორმაციის გავრცელების პრევენციის და რეაგირების მიზნით;
- ითანამშრომლონ საარჩევნო კომისიებთან იმ შესაძლო ხარვეზების გამოსასწორებლად და პოზიტიური ასპექტების განსავითარებლად, რომელიც ხელს შეუწყობს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფას.

სახელი, გვარი, ხელმოწერა	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
სახელი, გვარი, ხელმოწერა	საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
სახელი, გვარი, ხელმოწერა	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
სახელი, გვარი, ხელმოწერა	სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
სახელი, გვარი, ხელმოწერა	საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო
სახელი, გვარი, ხელმოწერა	განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
სახელი, გვარი, ხელმოწერა	საზოგადოებრივი დამცველი
სახელი, გვარი, ხელმოწერა	ადამიანის უფლებათა ცენტრი
სახელი, გვარი, ხელმოწერა	ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია
სახელი, გვარი, ხელმოწერა	ადამიანთა უფლებათა დაცვის საერთაშორისო თანამეგობრობა
სახელი, გვარი, ხელმოწერა	ამერიკის მხარდამჭერთა ლიგა
სახელი, გვარი, ხელმოწერა	ახალი სიტყვა
სახელი, გვარი, ხელმოწერა	დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი
სახელი, გვარი, ხელმოწერა	თავისუფალი არჩევანი
სახელი, გვარი, ხელმოწერა	ინსტიტუციური განვითარების და მონიტორინგის ცენტრი
სახელი, გვარი, ხელმოწერა	მომავლის ნათება

სახელი, გვარი, ხელმოწერა	მწვანე დედამიწა
სახელი, გვარი, ხელმოწერა	სამოქალაქო ალიანსი განვითარებისთვის
სახელი, გვარი, ხელმოწერა	სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
სახელი, გვარი, ხელმოწერა	საქართველოს ახალგაზრდა ინტელექტუალთა გაერთიანება - ლაზარე
სახელი, გვარი, ხელმოწერა	საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი
სახელი, გვარი, ხელმოწერა	საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	

კონსტანტინე კინწიკაური	სამოქალაქო კოდექსის საერთაშორისო კერძო
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	
სახელი, გვარი, ხელმოწერა	